№ 20 იანვარი 26, კვირა. 1886 იანვარი 26, კვირა № 20

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

კვირას, 26 იანვარს ქართული დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ბედნიერი დღე

კომედია 3 მოქმედ. რუს. ნათარ. თ—შვილისა

II

2-რე და 3-მე სცენა ხუთ მოქმ. შექსპირის დრამიდამ

ჰამლეტი

III

პრიკაზჩიკის დუელი

ანუ

ქალი სამხედრო ტანისამოსში

ვოდევილი 1 მოქ., გადმოკ. ა. ა—სა

ფასი საბენეფისო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

(3—3)

ტფილისი, 25 იანვარს

კაცმა რომ ჩვეულებრივი წაჯეგუჯეგობა დიპლომატიისა დაივიწყოს და სადი თვალი და გონება მიაჩემოს საპოლიტიკო მოედანს, უეჭველია იმედს მშვიდობიანობისას ფრთას შეაკვეცს. რადგაც ტყვია-წამლის სუნი მოდის იმა მოედნიდამ, სადაც საქმეთა მდინარეობამ ძნელი და ხლართული კვანძი აღმოსავლეთის საქმისა შეჰკრა. უველანი ჰგრძნობენ, რომ დიდს საცეცხლურს გარ-შამოუვლიან, ჰგრძნობენ, რომ წინ უშველებელი ქურაა, საიდამაც შესაძლოა ასეთმა ცეცხლმა იფეთქოს, რომ მისმა ალმა დაატცხუნოს მთელი ევროპა. დიპლომატია დიდს ფაცა-ფუცშია. მან კარგად იცის, რომ აღმოსავლეთის საქმე უკვე ცეცხლ-წაკიდებული ქურაა და აფეთქება ცეცხლისა სადღე-ხვალიო საქმეა, ადრე და მალე უნდა მოხდეს. კარგად იცის, რომ თუ დღეს წააყრის ნაცარსა, ნაღველდალი ისევ დარჩება, ისევ თავისასა იქმს, ადრე იქნება, თუ გვიან. მაშ რაღას ცოდვილობსო ეგ რაღაც დიპლომატიაა, იკითხავთ თქვენ. იმასა ცოდვილობს, რომ ჯერ ვერ შეუტყვია, ვინ საით იწევს. ინგლისის ერმა ძველი სამინისტრო გადააყენა, ახალი მოიწვია, საფრანგეთმაც ეგევე მოახდინა. ძველი სამინისტრო ინგლისისა გერმანიას მეტად ეგურგურებოდა და რუსეთს ალმაცერად უყურებდა; გერმანიასაც თავისის მხრით მეტად მოჰსწონდა, რუსეთს კი ვერაფრად მოჰსდიოდა თვალში. ახალს სამინისტროს კი გერმანია ათვალწუნებული ჰყავს. ვის არ ახსოვს გლადსტონის და ბისმარკის ერთმანეთთან დატაკება! გერმანია ათვალწუნებული ჰყავს, მასთან ზედ-გამობმული, ჯერ ხანად მაინც, ავსტრიაცა,—და რუსეთს კი უფრო მშვიდობიანობის თვალით უყურებს. ეს გარემოება ფრიად შესანიშნავია დღეს, თუმცა შეიძლება, ხვალ სულ უკუღმა გადატრიალდეს. პოლიტიკამ ხანდისხან ამისთანა ართურმაც იცის.

საფრანგეთში ფერის სამინისტრო დაეცა, ფერის სამინისტრო, რომელიც ბისმარკთან ძალიან კარგად იყო გაწყობილი და რომელმაც თითქმის მთელი ორი წელიწადი თავი დაიჭირა. ეს დაუდგრომელის საფრანგეთისათვის დიდი საქმეა: საფრანგეთს რომ ორი წელიწადი გაუძლოს სამინისტრომ, დიდი ამბავია! ამას ფერის ოსტატობას და მოხერხებას აწერენ, მაგრამ მაინც დაეცა. რისთვის? კარგად, შინაურულად რომ გამოვწვლათ ამისი მიზეზი, ცხადად დავინახავთ რისთვისაც. იმისთვისა, რომ ბისმარკის აყოლა არ ეჭაშნიკა საფრანგეთსა. ფერის მაგიერ ბრისონი გახდა პირველ მინისტრად საფრანგეთში. ამან დიდხანს ვერ დაიჭირა თავი. რა მიზეზით? ვგონებთ, იმავე მიზეზით. თუმცა ბრისონი გულით სულაც არ იყო მომხრე და ამყოლი ბისმარკის პოლიტიკისა, მაგრამ, რადგანაც ზოგიერთს მოქმედებას ფერისას მხარი მიჰსცა, მაგალითებრ ტონკინის საქმეს, ბრისონიც აითვალწუნეს. ეო, იფიქრეს ფრანსიელებმა: უსათუოდ კიდევ ქსელია გაბმული ბისმარკსა და ჩვენ შუაო. არ გვინდა, არა და არაო. ჩამოაბძანეს ბრისონი, ფრეისინე დაჯდა მის სამაგიეროდ. რა კაცია ფრეისინე? ის კაცია, რომელმაც საჭიროდ დაინახა პირველ მინისტრობის მიღებისვე უმალ ეთქვა: ჩვენ გარედ ხელი არა გვაქვსო. შინ უნდა თავი მოვიყაროთო, ჩვენი გაფანტული ძალ-ღონე უნდა შემოვიკრიბოთო, რომ ჩვენს ხმას ევროპაში თავისი საკადრისი ძალა და რიხი ჰქონდესო. თუმცა ამ სიტყვებში მუქარა არავის მიმართ არ არის, მაგრამ ესეც კი უველამ იცის, რომ კომბალს ხელში არავინ აიღებს ხოლმე ალერსისათვის. უველამ ვიცით ეს სიტყვები სადა ჰსცემს. ეს გარემოებაც ფრიად შესანიშნავია დღეს და ვისიც ჯერ არს, იმას, რასაკვირველია, შენიშნულიცა აქვს.

ხომ ვხედავთ, რომ საფრანგეთსა და ინგლისის შუა დღეს შესაძლოა თოკი გაიბას. ამისთვის ზოგიერთი გრეხილი მზადაც არის თითქმის. გაიბმის ეს თოკი, თუ არა, ჯერ ბეჯითად არა ვინ იცის და ვიდრე ამ საგანზედ ან ჰოითქმოდეს, ან არა,—დიპლომატიას აღმოსავლეთის ცეცხლის გაღუება არ უნდა ეხერხებოდეს. ეს ერთი. ამისთანა ერთმანეთში გაწყობას ინგლისისას და საფრანგეთისას სხვა სახელმწიფოების დარდიც თან მოსდევს. მაგალითებრ, საიდ უნდა ჰქმნას პირი გერმანიამ, ავსტრიამ, იტალიამ და სხვათა, რომელნიც იმას უყურებენ, რომ, თუ საბძელს ცეცხლი წაეკიდა, ხელები გაითბონ? ვიდრე უველა ესენი ერთმანეთში არ გავლენ-გამოვლენ, ვიდრე არ გამოჩნდება ვინ ვის მიეკედლება და მიემხრობა, იმ დრომდე დიპლომატია არ გამოიტანს გარედ თავის საბერველს ცეცხლისას და აღმოსავლეთის საქმეს როგორმე შეაფერფლებს, რადგანაც მთლად გაქრობა მისი არ ძალ-უძს. ერთის სიტყვით, საქმე იმაზეა მიმდგარი: დღეს ის დღეა, რომ ცეცხლი უნდა ალაპლაპდეს, თუ ჯერ მაგის დრო არ მოსულა?

ინგლისის გაზეთი «*Times*» თავის მეთაურს წერილს მთლად აღმოსავლეთის საქმეს უძღვნის და ამბობს: «დღეს ეს საქმე იმისთანა მდგმოიარებაშიაო, რომ ძალიან ცოტა იმედს გვაძლევს გულ-დამ-

ფელეტონი

საუბარი ვაგონში

ვის არ უყარს მგზავრობა? იშვიათია ამისთანა კაცი, ისიც თუ იქნება ჩვენი დედა-ქალაქის ტფილისის მცხოვრებელი იქნება, რომელსაც ახლოდამ მტკვარიც არ უნახავს (არიან ამისთანებიც). ვინ იქნება, რომ მგზავრობის ხსენებამ სული არ აღუძრას, გული არ აუძგეროს და სიამოვნების, სიტკბოების წყურვილი არ მოჰგვაროს. მგზავრობა თუ შესადარებელია რისამე, ისევ წყლის მდინარეობისა. მდინარეობა წყლისა, როგორც მგზავრობა, თვალს თვისის მოუსვენარის და დაუყოვნებელის ნაკადულით ატკბობს და სმენას ჩხრიალ-ჩუხჩუხით აღვიძებს. მოძრაობა წყლისა სიცოცხლის სახეა: რაც მოძრაობს, ცოცხალია. ამიტომაც კაცის არსება უკეთესს გუნებაზეა ხოლმე, როცა მდინარე წყალს დაჰყურებს.

ხომ ესეა, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, როგორღაც არ გვიყვარს შინიდამ გარედ გასვლა, არ გვიყვარს ის სასიამოვნო და სახეირო სიარული, რომელსაც მგზავრობას ეძახიან. სხვა ქვეყნების ნახვაზედ ნურას ვიტყვით, თვითონ ჩვენი პატარა, მაგრამ ლამაზი ქვეყანაც ბევრს ჩვენგანს არ უნახავს მთელს მის პატარა სიგძე-სიგანეზედ. აბა ბევრს დამისახელებთ იმისთანას, რომ ჩვენის ქვეყნის, ყოველი თუ არა, უმთავრესი ადგილები მაინც ენახოს? რამდენი ქართლელია, იმერეთი არ ენახოს, რამდენი კახელია, ქართლი არ ენახოს, რამდენი იმერელია, არც კახეთი ენახოს, არც ქართლი. მდაბიო ხალხი კიდევ ერთმანეთში დაიარება სამუშაოდ და სარჩო-საბადებლის საშოვრად, მაგრამ რომ ნასწავლი კაცი დაიარებოდეს ჩვენის ქვეყნის სანახავად, იშვიათია.

რა უნდა მითხრას განათლებულმა ქართველმა, რომელსაც საქართველო არ დაუვლია? რას იტყვის ან ბუნებისას, ან ხალხის მეტ-ნაკლებობისას, ან ხასიათისას, ან მიდრეკილებისას?

რას მეტყვის იმერეთის სიცოცხლის ჩქეფა-დუღილზედ, ქართლელების მდოერ-სიმძიმეზედ, კახელების—თავ-მოწონებულ კოხტაობაზედ, ფშავხევსურების—აბჯარ-ჩხერაზედ, აჭარელის—ახოვან-გამბედაობაზედ, მესხეთის—დარბაისლობაზედ? როგორ გამომიხატავს იმერეთის ბუნების სინაზე-სიკეკლუცეს, ქართლის მიწა-წყლის მწირობას, თუ მაძღრობას, კახეთის მორთულობას, მთიულეთის სიშიშვლე-შემკულობას და სილარიბე-დიდებულებას?

არა ვიცით-რა, არა გვინახავს-რა, ჩვენის პატარა დედულ-მამულის კუთხის მეტი. ცოდვაა და ბრალია ჩვენი ქვეყანა! ვინ გაგვაცნობს, ვინ გვეტყვის მისს ჭირსა და ლხინსა, მისს ყოფასა და სურვილსა, მისს ავსა და კარგსა, თუ არ განათლებული ჩვენივე მოძმე ქართველი? ვინ გაგვახაროს სასიხარულოს და იმედიანის მოთხრობითა და ვინ დაგვაფიქროს სიკეთის და წარმატების სურვილის გამო, თუ არ მანვე?

*
* *

ჩავჯდე რკინის გზის ვაგონში. მიდის, და ჰხვნეშის ორთქლით მატარებელი და ეზიდება სულიერ ბარგს ქალაქიდგან. ხვნეშის სისწრაფისაგან და არა მოქანცულობისაგან. რა კარგი სახეა მოძრაობისა ეს რკინის გზა! მან შესძრა ჩვენი მძინარე ქართლი და უმეტესად გამოაფხიზლა მღვიძარე იმერეთი. ისტორიის გარემოებით დამდგარი და დაგუბებული ჩვენი ცხოვრება მან უნდა გაამხნეოს და გამოაღვიძოს. მან უნდა ჩანერგოს ყოველ სულდგმულში აზრი, რომ სრბოლა, სიარული არის ცხოვრების წესი: «იარე და წინ წადი, იარე და წინ წახვალ!» ჯერ ათიოდ წელიწადს არ გაუვლია, რაც ეს ორთქლი მუშაობს და ახლავე ეტყობა ქართლს გამოფხიზლება. მერმისი თავისას იზამს და წინ-სვლა უნდა დაეტყოს. აგერ მიეჩქარებიან სოფლელები, ზოგი სავაჭროდ, ზოგი სასამართლოში, ზოგი მოყვრისას; ყველას მოუთმენლობა ეტყობა: «როდის იქნება ბინაზე მივიდეო?» დავიწყებიათ ურმით მთელი დღეებით წოწიალი. «მალე საქმეზე უნდა დავბრუნდეო». ნახე დროს დაფასებაც უსწავლიათ, დაზოგვაც უსწავლიათ. ქართველმა კაცმა თუ დაზოგვა ისწავლა, მოწყობილის ცხოვრების საძირკველიც ჩადგმული ექნება.

*
* *

იმ დრომდის რამდენი კოკა წყალი ჩაივლის, ვინ იცის? აგერ მცხეთას ვახლოვდებით. სოფელი გადმოჰყურებს მდინარე წყალს. ნაპირი უწმინდურობით სავსეა. მრთელი გორა მოჩანს, (უკაცრაული პასუხია) ნეხვისა.

— შეხედე, ბატონო, მოსძახა გვერდით მჯდომ ქალაქში მცხოვრებს შუახნის სერთუკიან კაცსა ერთმა მგზავრმა ყმაწვილმა თავადიშვილმა, რომელსაც სამხედრო ფორმის ტანისამოსი ეცვა. აი, ბატონო, ხომ ხედავთ, რა ამბავია? საშინელი მწირი ადგილია, ხრიაკი, და ამისთანა სასუქს წყალში ჰყრიან. არა გაეგებათ-რა, როგორ გამოიყენონ და წყალსაც ახდენენ.

— მითომ არ იცოდნენ სასუქის დაყრა? აგერ, ზემო სოფელში, ძეგვში არ არის, რომ სახნავებს აყრიან, უპასუხა გულ-დინჯად გვერდით მჯდომმა.

— იქ, ბატონო, დიდი ხანია დაჩვეულან და სახნავის ვიწროობაა, ამიტომ სასუქსა ხმარობენ, მიუგო ვითომ პასუხად.

— მაშ რა მიზეზი უნდა იყოს? ჰკითხა ცნობის-მოყვარეობის სახით სერთუკიანმა.

— მოუსაზრებლობა. განა იფიქრებს ქართველი გლეხი რასმე? მამა-პაპას ასე უხნავ-უთესია, მეც ასე უნდა მოვიქცეო. ბატონო, თვალს ხო არ გაახელს, რაც ნახოს ისწავლოს რამე.

— საიდამ ისწავლოს?

— მეზობელს მიხედოსო, უპასუხა გულ-დამშვიდებით აფიცერმა.

— თუ კი მეზობელიც ისეთი ჰყავს, როგორც თითონ არის. სხვა სოფლის მაგალითს, თქვენ ბძანებთ, არ მისდევსო, და თავის ბინაზე, სოფელში თუ კი არა ჰყავს მაგალითის მიმცემი?

— ახლა მაგით გინდათ საყვედური თქვათ ჩვენს თავად-აზნაურობაზე?

— საერთოდ მოგახსენებ, თავადია, თუ აზნაური, ან სხვა, ვისაც ცოტაოდე მეტი ეყურება სწავლა-განათლებისა და ქვეყნიერების ყოფა-ცხოვრებისა, რატომ არ აჩვენებთ მაგალითს?

— რასაკვირველია, სოფელში მცხოვრებ თავად-აზნაურს და ცოტაოდე ნასწავლს შეეძლია თავის მეცადინეობით და მეურნეობის წინ წაყვანით კარგი მაგალითი უჩვენოს, მაგრამ მაგარი ეს არის—ნასწავლნი სულ გარეთა ვართ. ზოგი სამსახურშია, ზოგი ისე ცხოვრობს ქალაქში.

შვიდებისათვისაო. დიპლომატია, როგორც ჰსჩანს, უღონოა მშვიდობიანობა ჩამოაგდოსო. სერბიის პოლიტიკები ხმა მაღლა იძახიან, რომ ჩვენ მარტო მაშინ ომისაგან უკუვდგებითო, თუ რომ ბოლგარიაში ისევ *status quo ante* დაიდგინებაო. ათინაშიაც ხმა მაღლა და ბევრს ლაპარაკობენ მასზედ, რომ ჩვენ ყოველივე პატივი აგვყრებაო, თუ უკუვდექითო და ამა პირ-ბადით გამოსულნი ბერძნები ყველგან, საცა კი ხელი მიუწვდებათ, საომარს იარაღს ჰყიდულობენ და დაუცხრომელის სისწრაფით საომრად ემზადებიანო. სერბიას ოცი მილლიონი სროლა ტყვია-წამალი შეუკვეთნია და თვრამეტი მიტრელიოზიო. საბერძნეთმა ავსტრიაში 100 ტორპედი შეუკვეთაო. ავსტრიას თავის ესკადრა ხმელთა შუა ზღვაში უყენია და ოთხი ტორპედიანი ახალი გემი შეუკვეთნიაო. ოსმალოშიაც დიდი მოძრაობა და მზადება არისო. თუმცა ჩერნოგორიის მთავარი ეხლა პეტერბურგშია და ბოლგარიამ თვისი ჯარი შინ დაითხოვა, მაგრამ ყოველი ეს მოახლოებულის ომის შიშსა ვერ განაქარვებსო».

დეპეშა

იანვრის 24

პეტერბურგი. სახელმწიფო რჩევის სტატს-სეკრეტარი არაკინი დაინიშნა იუსტიციის სამინისტრო დეპარტამენტის დირექტორად, ბეზროდნის მაგივრად, და ბეზროდნი-კი სენატორათ იქმნა დანიშნული.

გამოცხადებულია მინისტრთა კომიტეტის გარდაწყვეტილება. ამ გარდაწყვეტილების ძალით აკრძალულ იქმნა დუქნების გამართვა სიახლოვეს, ტაძრებისა მონასტრებისა, ნიშებისა და სამლოცველო სახლებისა. მანძილი დუქნებსა და მათ შორის 80 ადლზე ნაკლები არ უნდა იყოს; ხოლო თუ მთავრობა ნებას დაჰრთავს სასტუმროების პატრონებს, მათ შეუძლიანთ გამართონ თავიანთი სასტუმროები იმ წესით, რომელიც მოხსენებულია 1885 წ. 14 მაისის წესთა 19 მუხ.

ლონდონი. მოელიან, რომ ინდოეთში ახალი ვიცე-კოროლი დაინიშნებაო.

ახალი ამბავი

⁂ კარგა ხანია სახეში აქვთ, დაბა ყვირილიდამ, ყვირილის ხეობაზე, საჩხერისკენ რკინის გზის შტო გაიყვანონ. მთელი შორაპნის მაზრა მოუთმენლად მოელისო, გვწერს კორრესპონდენტი, ამ გზის გაყვანას. კარგი იქმნება გაზეთით გვაცნობონ, როგორ მიდის ამ რკინის გზის საქმე, და ამით დააკმაყოფილონ კანონიერი სურვილი შორაპნის მაზრის მცხოვრებლებისაო.

⁂ იგივე კორრესპონდენტი გვწერს: წელს ს. წევაში ღვინო ძრიელ ნაკლებად მოვიდაო. ასე გასინჯეთ, რომ ვისაც ორას-სამასი ფუთის*) იმედი ჰქონდაო, იმას ამის მეოთხედიც არ მოჰსვლიაო. ამ სამწუხარო ამბავს თან მოჰყვაო კიდევ ყელის ტკივილი, რომელმაც ბევრი ყმაწვილი იმსხვერპლაო. დღესაც ეს ავად-მყოფობა კიდევ მძვინვარებსო.

⁂ იქიდგანვე გვატყობინებენ: ს. წევის სასაფლავო ეკკლესიის გალავანში ისეა გავსებული თურმე, რომ საფლავი არ გაიჭრება, ძველი გარდაცვალებულის კუბო არ გამოჩნდეს. აი ამას წინადაც ერთი სასაფლავო უთხრიათ და ორი არშინი ამოუთხრიათ თუ არა, დაუხრწნელი გვამი ამოჩენილა. აიღეს ახალი მიცვალებულის კუბო და ძველს მიცვალებულს ზემოდამ დაადგეს, ამ გვარად ორი მიცვალებული ერთს საფლავში დამარხესო. ყურადღებას ვაქცევთ ამ გარემოებაზე, ვისაც ჯერ არსო.

⁂ გაზ. «*Новое Обозрѣніе*»-ს შუშიდგან სწერენ ერთს დიდად საყურადღებო ამბავს, რომელიც ნათლად გვიმტკიცებს, თუ რამდენად გავრცელებულია მდაბიო ხალხში ცრუ-მორწმუნეობა და როგორც მკითხავების სხვა-და-სხვა ბალახებით წამლობას უფრო ენდობიან, ვიდრე სწავლულს ექიმებისას.

შუშაშიო, სწერს კორრესპონდენტი, ძალიან გავრცელებულია ძაღლის სიცოფე. ეხლა-ხანს დიდს წვალებას და ტანჯვაში გარდაიცვალა ა., და ამ გარდაცვალების მიზეზი ის იყოვო, რომ რიგიანად ვერ უწამლესო. ა.-მ იმის მაგიერად, რომ ექიმისთვის ეკითხა რჩევა, ვიღაცა ბებერ დედა-კაცს მიჰმართა, რომელმაც რაღაცა ბალახბულახით დაუწყო რჩენა. ამ წამლობამ 40 დღე გასტანა და არც უკეთობა, არც უარესობა ეტყობოდა ავად-მყოფს. მაგრამ 41 დღეზე გამოაჩნდა ცოფის ნიშნები; ბოდვა დაიწყო, ცნობა დაჰკარგა, თმასა და ტანისამოსს იგლეჯდა. მხოლოდ მაშინ მოიწვიეს ექიმი, რომელმაც გარდაწყვეტილი უთხრა, რომ მორჩენა აღარ შეიძლებაო და ურჩია სნეული დაემწყვდიათ, რომ სხვებსაც ცოფი არ გადაჰსდოსო. ავად-მყოფი რამდენიმე დღის უკან გარდაიცვალა.

აქ ცოფის ავად-მყოფობას თან მოჰყვება საარაკო ამბავი «მგელ-კაცზე». ამბობენ, სოფ. ტარნაგერზში, რომელიც ქ. შუშიდგან 15 ვერ. მანძილზე მდებარეობს, ვითომ, ერთი ცოფიანი ძაღლისაგან ნაკბენი ახალგაზდა სომხის ქალი, «ღამის» მგლად გარდაიქცა, ღამ-ღამობით გარედ დაწანწალებსო, გათენებისას შინ ბრუნდებაო, ტყავს კი საბძელში ინახავსო. ამ ამბის სიცრუვეო, დასძენს კორრესპონდენტი, თუმცა ცხადიაო, მაგრამ მაინც ბევრს ჰსჯერაო.

ნაკვესი

გლეხი ნაზარაშვილი შევიდა ერთს დიდს მაღაზიაში და უცოდინარობით ღორის ქონი იკითხა სასყიდლად. დახლდარმა შეატყო რომ ხამი სოფლელია და სასაცილოდ აიგდო და უთხრა:

— ჩვენ აქ გიჟებსა ვყიდითო და არა ღორის ქონსაო.

— გეტყობათ კარგი ვაჭრობა გაქთო, რომ შენს მეტი გიჟი აღარ დაგრჩენიათ გასასყიდათაო, უპასუხა სიტყვა მარჯვე სოფლელმა.

ა. თ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საბერძნეთი აქეხილა და აღარ იშლის; გაცხარებული ემზადება, თოფ-იარაღს ისხამს და უთუოთ და უთუოთ ოსმალეთს ომის გამოცხადებას უპირებს. მერე რის იმედით? სადა აქვს ამ ბოღჩის ოდენა სახელმწიფოს, იმოდენა ძალა, რომ თავისზე გაცილებით ძლიერ ოსმალეთს შეებრძოლოს? მაშ ვინ აქეზებს საბერძნეთს, ვინ უდგას ზურგს უკან, ვინ აძლევს ესეთ გაბედულობას? ამ კითხვებზე «Московскія Вѣдомости»-ები აი რა პასუხს იძლევიან:

> იმიტომ ხომ არ [illegible] საბერძნეთი, რომ იმედი აქვს, [illegible] რამწამ ომი დაიწყება, ინგლისის [illegible] გემები ოსმალეთის წყლებში თავს ამოჰყოფენ; იქნება სერბიაც ამიტომ საბერძნეთს ბანს აძლევს, რომ ავსტრო-ვენგრიამ გზა მისცეს, ფეხი თავისუფლად ადრიატინამდინ გაიდგას; ეტყობა ამ განზრახვით მოხდა რუმელიის და ბოლგარიის შეერთებაც.

თუ საქმე ასეაო, განაგრძობს გაზეთი:

> მაშ რაღას შევყურებთ მოწიწებითაო ორ-პირ ევროპას; რას აგვიტეხნია, რომ უთუოთ მშვიდობიანობა უნდა ჩამოვაგდოთო ბალკანის ნახევარ-კუნძულზე; რას დაგვიკრეფია გულ-ხელი, რატომ თვალებს არ ავახელთ, რომ ინგლისი და ავსტრია ჩუმ-ჩუმად თავიანთ საქმეებს იწყობენ.—ავსტრიაც ჩუმად არ არის, ისიც დიდის გულ-მოდგინებით მუშაობს, მაგრამ ევროპისთვის კი არა, და არც რუსეთისთვის, არა, ის მხოლოდ თავის ინტერესებისთვის ეშმაკობს.

სწორედ ესეა საქმე, თუ არა, ნამდვილად ვერ ვიტყვით. იმაში კი ეჭვი არ არის, რომ საბერძნეთს ვიღასიც მძლავრი ხელი ჰშველის.

⁂

მთელი რუსეთის მწერლობა დიდის ამბით და პატივით დღესასწაულობს ნიჭიერი პოეტის პლეშჩეევის იუბილეის. ორმოცი წელიწადია, რაც პლეშჩეევი სამშობლო ლიტერატურას ემსახურება. პოეტის ხანგრძლივი ცხოვრება—ეკლიანი გზა იყო, ბევრი მწუხარება გამოიარა, ბევრი უბედურება გადაჰხდა თავს; მაგრამ ამან გზას მაინც არ გადუხვია და არ უღალატა თავის პატიოსანს და გულ-წრფელ აზრებს.—პლეშჩეევის იუბილეის გამოუწვევია ერთი საინტერესო სახსოვარი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებდნენ პროვინციაში ამ ორმოცი წლის წინად მწერალსა. ამ სახსოვარს მოგვითხრობს გაზეთს

— კიდევ ეგ არის, რომ ჩვენი მეურნეობა წინ ვერ მიდის. მეც მაგას მოგახსენებ, უთხრა, თითქოს ნიშნმოგებით, სერთუკიანმა.

— რა ვქნათ? სოფელში ცხოვრება არ გვაკმაყოფილებს, მამული ვერ გვარჩენს. თითო ოჯახში ხუთი-ექვსი ვაჟ-კაცია ცოლ-შვილიანი. შვილებს გაზრდა ეჭირება და აბა რა ვქნათ, რომ ჯამაგირიანი ადგილი არ ვიშოვოთ. მამული ვერ გვაძღობს, ვერ გვარჩენს..

— კარგი, ვთქვათ აგრე იყოს. ვინც მარტო ხელია და მამულიც დიდი აქვს და შემოსავალიც ჰყოფნის, იმათზე რაღას იტყვით?

— დავებშია გაბმული. ჯერ ხომ მამა-პაპით დავები მოსდევს; ეს იქით იყოს. მერე თუ უდავო, შემოხაზული მამული აქვს, განა მოგისვენებს მეზობელი თუ? ხან აქეთ მხარეს გადაგიხნავს მინდორს, ხან იქით ტყეში შემოგესევა. ან ის დაგიწყებს საჩივარს და, თუ არ დაგიწყო, შენ ხომ არ დაანებებ. რაღა მეურნეობა შეგიძლია! სასამართლოების და ადვოკატების უკან სირბილს ძლივ ასდიხარ.

— ეჰ, შე დალოცვილო, მართლა ასე ლაპარაკობ, თითქოს ჩვენი ქვეყანა სულ კაცი-ჭამიებით სავსე იყოს.

— თქვენმა მზემ ასეა. აბა, კაცი ხარ და ტყეში ორიოდ პანტას ან მსხალს გააჩენ. მეორე დღეს გამოივლის შენი მეზობელი ვინმე და სულ ხანჯლით გადაგიკაფავს. ტყეს რას ვამბობ, ბაღში დარგი რამ ნარუქი ხეხილი, საქათმეში რამე იშვიათი მფრინველი, ან აუზში თევზი გააჩინე, თუ მეორე მესამე დღეს მეზობელმა არ მოგიკლას და არ წაგიხდინოს.

— მაშ გლეხ-კაცებში რათა ვხედავთ შეძლებულებსა, თუ ასეა? თავად-აზნაურობაშიაც მოიპოვებიან ამისთანები, რომ მამულებიც შეუმატნიათ, კარგადაც ჰსცხოვრობენ და შვილებსაცა ჰზრდიან, თუმცა-კი მეურნეობა ძველებურის წესით მიჰყავთ. შეუბრუნა სიტყვა გულ-მოსულმა სერთუკიანმა.

— დიახაც არიან. მაგრამ გლეხი იმიტომ არ არის შეძლებული, რომ პატარა მამული აქვს და ყოველთვის თვალ-ყურის ჭერა შეუძლია. თავად-აზნაური თუ არის ვინმე შეძლებული, ესე იგი უჭირველის პურის მჭამელი, უეჭველად პატარა მამულის პატრონი იქნება, გლეხის ოდენა მამულისა. ისიც გლეხად ჩაითვლება, იმიტომ, თითონ უბრალო მუშასავით მუშაობს, თითონვე თავს ადგია თავის მუშებსა, თვალ-ყურის დამჭერიც თითონვე არის, რასაკვირველია, რომ გაკეთდებოდა.

სერთუკიანმა ტუჩები დაიკვნიტა, ეტყობოდა რომ საფუძვლიანი პასუხი მიიღო. მაგრამ მაინც არ შეუშინდა მოპასუხეს და არ მოეშვა.

— დიახ, მართალია, ყველგან თადარიგის დაჭერა უნდა. თაოსანი კაცი ყველას მოახერხებს, თუ საქმეს თვითონ მისდევს. მაგრამ ამ გაუთავებელ დავებზე რას იტყვით? აი ამ დღეებში ოკრუჟნი სუდი მოვიდა, ორმოციოდე სახლის კაცები შეიყარნენ, უნდა გამოერკვიათ ყველას წილი საერთო მამულში. ლაპარაკი იყო შინაურულად. მედიატორებით გაეთავებინათ საქმე, რომ დიდს ხანს აღარ მოსდომებოდნენ. ოც-და-ათი კაცი დათანხმდა, თითქმის ყველა მონაწილეთ მოისურვეს და ერთმა მონაწილემ უარი განაცხადა. უნდა შეუდგნეს ვაისა და ვაგლახს, ვინ იცის, ოცს წელს გასტანოს! ჯერ ეხლავე ასეთი საქმეები ხდება, რომ იმ საგვარეულო მამულში რამდენი უცხო კაცი შემოვიდა: ოც თუმნად ათასი თუმნის ისპოლნიტელნი ლისტებს ყიდულობენ, შემოდიან და იჭერენ არა-თუ თავის ლისტების საკუთვნოს წილსა, არამედ იმის პატრონის გარდაცვლილ მონაწილისასაცა. ნამდვილი მემკვიდრეები ისე დაბნეულან, რომ ვეღარაფერი ესმისთ. ეს, ბატონო, ნივთიერი ზარალი. ახლა ზნეობითი ზარალი? შვილები ვერ გაუზრდიათ ამ დავების გამო. წარმოიდგინეთ, ერთი მასწავლებელი ლაპარაკობდა, აგერ ჩვიდმეტი წელიწადია, მასწავლებლადა ვარო და ამოდენა ხნის განმავალობაში ერთს ყმაწვილს არ დაუსრულებია კურსი ც. . .ნთ, ერ. . .ნთ, ამი. . .ანთ, თარ...ნთ, ამი...ნთ შვილებში. უმაღლესს, სასწავლებელს: უნივერსიტეტს, აკადემიას, ან ინსტიტუტებს ნულარ ვიტყვით. პირველს ჩვენ გვარიშვილებში ეს ამბავია. რა მიზეზია? და ისა, რომ დავაში ვართ და აღარც თავისა გვესმის, აღარც ცოლ-შვილისა. ღმერთმანი, სულ რომ ამ მამულებზე ხელი აგვეღო, ისა ჰსჯობდა. ჩვენს გვერდით ბევრი ხელ-ცარიელი, ბოგანო, უმიწა-წყლო აზნაური და გლეხი გვინახავს, ახლა მიწაცა აქვთ, სახლიცა და კარიცა; შვილებს გიმნაზიებში ზრდიან და აი ამ დღეებში ერთმა უნივერსიტეტშიაც გაგზავნა.

კიდევ ბევრს იტყოდა მართლა გულ-მტკივნეული აფიცერი, რომ სერთუკიანს არ შეეწყვეტინებინა სიტყვა.

— მაშ რა ღონე უნდა მოვიპოვოთ?

— რა ღონე? ერთი ღონეა: თავში ჭკუა უნდა მოვიკრიბოთ და ეს არის.

— კარგია, ვისაც ეგ საქონელი აბადია! მაინც საკუთრად რა ღონეს არჩევთ? ჰკითხა ნებიერმა მომუსაიფემ აფიცერსა.

— ესა, რომ ჩემსავით ყველაფერს თავი დაანებოს, და სამსახურში შევიდეს.

— ჰ, საყვედურსავით ჩაიცინა მისმა მოპირდაპირემ: ვითომ ეგ წამალია? ჯერ, შე დალოცვილო, იმდენი ადგილი სად არის, რომ ყველა სამსახურში შევიდეს. მერე ეს ამოდენა გაუზრდელი და უსწავლელი რას გაარიგებს სამსახურში, ან ვინ მიიღებს! თუ თუმნიან ადგილზე სტოროჟებათ გამოდგებიან, ან ქალაქში ოც-და-ხუთ მანათად ქუჩის დესეტნიკებად, კიდევ ჰო.

— ვითომ რატომაო? რამდენი ცუდა აზნაურია, რომ ლუკმა პური ენატრება, სოფელში კი გდია და ათრევს მუცელსა, ვისიმე სახლის კარი ღია ვნახო და სადილად ვეწვიოვო. განა არ შეუძლიან მუშაობა; შეუძლიან, მაგრამ თაკილობს. იმერელ აზნაურს კი ეკადრება, რომ დესეტნიკადაცა დგება, ლაქიადაც, მედუქნედაც? აკი ამიტომ წინ მიდის.

— ეგ ვთქვათ ღარიბზე, და მართალსაც ბძანებ. მაგრამ რას იტყვით იმაზე, ვისაც შეძლება აქვს? იმათ რა ღონე შველის მეურნეობის წარმატებისათვის?

— დავებიდგან თავის დახსნა. უთხრა აფიცერმა.

— დავის წამალი წელან თქვენვე თქვით.

— არ მახსოვს, რა მოგახსენე. იკითხა გულ-აჩქარებით აფიცერმა.

— ერთი ღონეა. მედიატორებით, შინაურულად, შუა-კაცებით საქმის გათავება.

---

*) იმერეთში ღვინოს წონითა ჰყიდიან.

«Новости»-ში ბ-ნი ბელლეტრისტი, პოეტის მეგობარი ყმაწვილობიდამვე:

> მახსოვს ჩვენს სახლში ბევრს ლაპარაკობდნენ ჯერ პლეშჩეევის პირველს ნაწერებზე და მერე იმ უბედურობაზე, რომელიც მას შეემთხვა. მაგრამ უფრო ღრმად ჩამებეჭდა გულში შემდეგი გარემოება: ერთხელ პეტერბურგიდამ დაბრუნდა ჩვენთან ჩვენ სახლშივე გაზდილი ერთი ბებერი აფიცრის ცოლი და თან ერთი რვეული ხელთნაწერი ლექსები მაიტანა. თუმცა პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად კი დამახსოვდა, სახლში ჩუმად როგორა ჩურჩულობდნენ: «ალიოშა» (ესე ეძახდნენ ჩვენები პლეშჩეევს) «მწერალი» გამხდარა». მაშინ სიტყვა «მწერალი» საშიშარი აღკრძალული სიტყვა იყო. — ბებერმა აფიცრის ცოლმა კითხვა იცოდა და ლექსები ხმა-მაღლივ წაგვიკითხა. სხვა ბებრები ყურს უგდებდნენ, და რაღაც გაკვირვებით და შებრალებით თავებს აქეთ-იქით იქნევდნენ, თითქოს ამის თქმა უნდათო: «რა გამოვა ნეტავი ამ ლექსებიდამ... შესულიყო სამსახურში..., თორემ აბა ლექსების ბლაჯვნა რაში გამოადგება!»
>
> არც სამსახურს გაექცა ჩვენი მოძმე, და, რაც ძალა ნებას აძლევს, ეხლაც მსახურობს იმ მწუხარეობით და შევიწროებით სავსე უწყებაში, რომელსაც «ლიტერატურა» ჰქვიან. ეხლა სამსახურს ათავებს და თან ყველასი სიყვარული და პატივის-ცემა მიაქვს... მგონია, ამას არა სხვა ხარისხზე არ გასცვლიდა ჩვენი პოეტი.

აბა ჩვენ საზოგადოებაშიაც მობძანდი და, როდესაც გკითხონ: «ყმაწვილო», რა სამსახურში ბრძანდებით?»—მიუგე: მე არა სამსახურში არ გახლავართ, მწერალი ვარ; — ნახავთ, როგორ ცხვირს აიფხლეკვენ და რა სიბრალულის თვალით შემოგხედვენ. თუ კი სამსახურის ნიშანი რამ გაძევს, პატივ-ცემული კაცი ხარ, გინდ რომელიმე ხავს მოკიდებულს სამწერლოში სადმე სხვის ნაჯღაბნის გადამწერელი იყო.

* * *

ხშირად ვემდურით, რომ ჩვენი ქალ-მანდილოსნები მეზობლის განკიცხვასა და ჭორაობაში ატარებენო დროს. თურმე ნუ იტყვით, არც პეტერბურგის მაღალი ჩამომავლობის და გვარეულობის ქალბატონები ჩამოუვარდებიან ჩვენებს ამ საქმეში. როგორც ბ-ი მეშჩერსკი თავის «Гражданинъ»-ში გვარწმუნებს, ეხლა სალაპარაკოდ ახლად დანიშნული ინგლისის ელჩი მორიერი გამხდარა.

> — რას იტყვით ახალს, ჰკითხავს მასპინძელი ქალი თავის კარგს ნაცნობს,—მორიერს როგორი წვეულება ჰქონდა?
>
> — რა უშავს,—კარგი; ყველაფერი თავის რიგსა და წესზე იყო.
>
> — ხალხი ბლომათ იყო?
>
> — ბლომათ! თითქმის მთელი პეტერბურგი იქ იყო.
>
> — მერე? როგორ მოიწონეს მასპინძლები?
>
> — უკეთესად აღარ შეიძლება. წარმოიდგინეთ, თურმე მორიერის გვარი— ინგლისში ძალიან ძველის-ძველი გვარი ყოფილა. როგორც ეტყობათ, ძალიან მდიდრები უნდა იყვნენ. ელჩის მეუღლე მშვენიერი დედა-კაცია, თვითონ მორიერი... ფრანგულად ისე წმინდათ ლაპარაკობს, რომ ნამდვილი ფრანგი გეგონებათ.— მართლა, თქვენ რატომ იქ არა ბძანდებოდით?
>
> — მე?—როგორ გითხრათ... მე ეხლა უფრო ფიქრს და აზრს ვაკვირდები. აქეთ-იქით სიარული, სტუმრობა გონებას მიოგნებს, მემძიმება... მე ეხლა უფრო გულ-დამჯდარ, მშვიდობიანს ლაპარაკს ვრჩეულობ რომელსამე სასულიერო პირთან... არქიელები ძალიან მომწონს.

აი რომ იტყვიან: «თქმა ერთია და ქმნა მეორე», სწორედ ეს არის. საჭორე ლაპარაკი გააბა, და ურიასავით კი ჰფიცავს, არა ღმერთმანიო.

* * *

გერმანიაში ერთი პატარა ქალაქია, სახელად ჰეიდელბერგი. ამ პატარა ქალაქს თავისი უნივერსიტეტი აქვს.

> ამ წელს, ამბობს გაზ. „*Русскія, Вѣдомости*“, 500 წელიწადი შესრულდებაო, რაც ეს უნივერსიტეტი დაარსდაო. ჰეიდელბერგელები ღირსეულად აპირობენო 500 წლის იუბილეის გადახდასაო. ჰეიდელბერგში შესანიშნავია კიდევ ერთი ბოჭკა, რომელშიაც თურმე 283,200 ბოთლი ღვინო ჩადის. ბოჭკა ციხე-დარბაზის სარდაფში ინახებაო. იუბილეის დღისთვის ეს ბოჭკა თავი ღვინით იქნებაო გამსებული და ყველას მუქთად შეუძლიან დალიოსო.

საკვირველი არა იქნება რა, რომ ბევრს უნივერსიტეტი სულ დაავიწყდეს და ბოჭკის იუბილეი გადიხადონ!

დამაკვირდი!

თუ დილა არ გვაღვიძებდეს ახალის სიამოვნებისათვის და საღამო არა რა იმედს გულში არ გვიტოვებდეს,—ჩაცმა და გახდა ტანისამოსისა შრომადაც არ ეღირებოდა. (გეტე)

* * *

ზოგი საგანია, რომელიც თუ არ დაინახე არ ირწმუნ; ზოგი კიდევ იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. (ჟუსტი)

* * *

ვინც ხელს უწყობს დამნაშავეს, იგი ერთი ორად დამნაშავეა. (სირუსი)

* * *

ყველამ და ნამეტნავად ქალებმა კარგად იციან, რომ მამა-კაცი, რომელიც ჭკვიანურად ლაპარაკობს სიყვარულზე, შეყვარებული არ არის.

(ჟორჟ ზანდი)

* * *

რამოდენადაც მეტად სიტყვა-ძვირია კაცი, იმოდენად ნაკლებ სისულელის მთქმელია. (დელა-ბუისი)

* * *

ერთხელ გამოჩენილი პაკუვი ტავრი ეახლა იმპერატორს ავგუსტოს და ფული ჰსთხოვა.

— საზოგადოებაში ქების ხმა დადის კითომ თქვენმა დიდებულებამ დიდ-ძალი ფული მიწყალობაო, დაუმატა ტავრმა, რომ იმპერატორს უფრო ბევრი გამოამეტებინოს.

— სხვამ თავისი იცის და შენ კი მაგ ჭორს ნუ დაიჯერებო, უბრძანა ავგუსტომ.

უცხოეთი

სტამბოლი. საგათ-ფაშას ერთი საბერძნეთის ხომალდი დაუჭერია, რომელსაც საომარი იარაღი მიჰქონებია. ოსმალეთი დიდს მზადებაშია, რომ კრიტი შეიმაგროს, თუ საბერძნეთი ომს გამოუცხადებს. სუდსის ნავთ-სადგურში თხუთმეტი კრუპის ზარბაზანია გაგზავნილი 800 არტილერიის სალდათით, ნავთ-სადგურის შესავალში ნაღმებია ჩაყრილი.

პორტა თავის ცირკულიარში ამბობს, რომ ოსმალეთს ეხლავე შეუძლიანო მოსთხოვოს საბერძნეთს დანახარჯი, რადგანაც ჯარის თოფ-ქვეშ დაყენება დიდი ფული დაუჯდა.

ოსმალეთის სამხედრო სამინისტრომ ბძანება გასცა, 150,000 ჯარის კაცისთვის ტანთ-საცმელი შემზადდესო. სულთანს უბძანებია: გადაადნონ ვერცხლის შანდლები და კიდევ სხვა ძვირფასი ჭურჭლები იმის საკუთარის განძეულობიდამ და ფულათ გადააკეთონ ომის საჭიროებისათვის.

ერთი სიტყვით, ოსმალეთი როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე გაცხარებული ემზადება. თოფ-ხანებში ათასობით კაცი მუშაობს, რომ დროზე შეიარაღონ რამდენიმე ჯავშნიანი ხომალდი; ამასთან მზადდება რამდენიმე ბადე, რომ ხომალდები ნაღმებმა ვერ დააზიანონ. ბეირუტიდამ სალონიკში [illegible] ჯარი; სმირნაში 4,000 ჯარის-კაცია შეყრილი. დარდანელს ამაგრებენ. მუშებს თავს ადგანან რისტონ-ფაშა და ერთი ოსმალეთის ღენერალი.

საბერძნეთი. ბერძნები სჩივიან, რომ ამ რვა წლის განმავლობაში სამჯერ იარაღი ავაღებინეთ ჯარსა და სამჯერვე უნდა ძალა-უნებურად ისევ თოფ-იარაღი აგვეყრევინაო, რადგან სახელმწიფოები ომის ნებას არ გვაძლევდნენ. ეხლა კი, როდესაც თითქმის მთელი საბერძნეთი თოფ-ქვეშ დგას, მთელი ჯარი დავძარით, შევაიარაღეთ,—ეხლა უკან დაწევა სამარცხვინო იქმნებოდა საბერძნეთისთვის, როგორც შინ, ისე გარეთაო.

როდესაც ინგლისის ელჩმა გადასცა მინისტრის დელიანისსა დეპეშა სალისბურის, ბაასის დროს ორიოდე მაგარი და მკვახე სიტყვა იხმარა საბერძნეთის შესახებ. დელიანისმა ეს ძალიან იწყინა და მკვახეთვე უპასუხა ელჩს, რომ საბერძნეთს სრულიად არა ჰსურს ინგლისი ამის საქმეში ჩვერიოსო. ბერძნები ჰშიშობენ, რომ ინგლისელებმა სალამინის თოფხანა არ დაიპყრონო; ამის გამო საბერძნეთს ხომალდები საომრად მომზადებული აქვს, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ინგლისს წინააღუდგესო.

ბოლგარია. *Keln. Zeit.*-ს აუწყებენ, რომ ხვანთქარს და მთავარს ალექსანდრეს შორის უკვე გათავებულა რუმელიის გამო საქმე. გარეშე საქმეთა მინისტრი ცანოვი სტამბოლს მიდის, რომ დაწვრილებით მოელაპარაკოს და სამუდამოდ გადაწყვიტოს, რა პირობით გაერთდეს ბოლგარია და რუმელიაო. როგორც ისმის, სახელმწიფონი ამის წინააღმდეგნი არ იქნებიანო.

ინგლისი. ინგლისელები დიდად ურწმუნოდ ექცევიან ირლანდიელებს. არაფრის გულისათვის ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რომ ირლანდია ცალკე გა-

---

— ჰო, დიახ, კარგი ბრძანებაა, ცოტა არ იყოს დაცინვის ღიმილით და ხმის გაბმით მიაყოლა აფიცერმა.

— მაგრამ, მერე სასამართლოებში სიარული და ადვოკატების უკან თრევა ვიღამ დაიწყოს?

— მაშასადამე, დასკვნა გამოდის, რომ... ველარ დაასრულა სერთუკიანმა.

— არაფერი დასკვნა არ გამოდის, თქვენმა მზემ, შეუქცია სიტყვა აფიცერმა. თუ მე მიყურებთ, ჩვენ ხუთნი ძმანი ვართ, მამული არ გვყოფნის. რა მექნა. ავდექი და სოფელს თავი დავანებე. თუ ფული უკუ-ვაგდე ჯამაგირიდამ, მამულსაც ვიყიდი.

— ვაი შენ მტერს, ეხლა სოფლიდამ გასულმა ქართველმა მამული ველარ იყიდოს! თქვა ამოოხვრით აფიცრის მემუსაიფემ.

ვახლოვდებოდით ქარელსა. აფიცერი ჩამოხდომას აპირებდა. ის იყო უნდა გასულიყო, სერთუკიანმა მიაძახა:

— აბა მანდ უქადაგე მედიატორებით საქმის გათავება. ციციაანთ ციხე-დარბაზი მანდ გახლავთ.

— ციციაანთ ციხე-დარბაზზე მაგარი, ციციაანთ დავაა. ვინ გასტეხს?

ანჩხატელი

(შემდეგი იქნება)

სამეგობრო წერილი, ვითომ მეგობრებს.

ჩემო დაუვიწყარო მეგობარო! მეტად აუშფოთებიხართ ჩემს მოძრაობას და რკინის გზას ესაყვედურებით!.. ის უბრალოა!.. ჩემმა ვარსკვლავმა მე იმ თავითვე მოუსვენარობა დამაბედა და მეც მორჩილებით ვიკისრე. —«რაღა მკვდარი და რაღა შინ მიუსვლელიო», ნათქვამია. რაღა მკვდარი და რაღა უსაფუძვლოთ მოსვენებული-თქო ვამატებ ჩემდა თავათ, რადგანაც სასიამოვნოდ არ მიმაჩნია, რომ ერთსა და იმავე ადგილზე, ერთ-ნაირ მდგომარეობაში ვისაც-კი მოესურვება ყოველთვისა მხედავდეს! სწორედ თქვენის ჰაზრისა იყო საბრალო გადია ჩემიც, სცდილობდა ჩემთვისაც შეეგონებინა ეს ჭეშმარიტება ტკბილ-მოსვენებულობისა, მაგრამ უარ-ჰყო ჩემმა ბუნებამ და მით გულის-ტკივილი საიქაოს გააყოლა საბრალოს.—

გადია! ჩემო ტკბილად მოსაგონებელო გადიავ! რა კარგი რამ იყავ, როცა ტკბილ-კვერ-ჩურჩხელებს აკეთებდი, ლობიოს შეჭამადს ამზადებდი და წიწილებს ზრდიდი და რა სასაცილო, საზოგადო საქმეებსაც რომ წაეპოტინებოდი ხოლმე.—განსვენებულს, ჩვენის სახლიდგან ფეხი ორსად გადუდგამს და ჩვენი ეზო მთელი საქართველო ეგონა.—ვისაც საჩეჩელი არ ედგა წინ და ან ბამბას არც ჰპენტავდა—უსაქმურს ეძახდა და გულ-დაწყვეტილი დასწუწუნებდა ხელ-საქნარს: —«საქმეს გულ-მხურვალობა უნდა და გულ-მხურვალობას-კი ერთი ადგილიდამ ფეხის მოუცვლელობაო», იტყოდა ხოლმე!.. ეს ჭეშმარიტება კრუხებისაგან ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ ის კი ავიწყდებოდა, რომ ნამდვილ კრუხსაც მხოლოდ სამის კვირის გულ-მხურვალება ეჭირვება წიწილის გამოსაჩეკად და უხეიროდ კი გაალაყებს, კვერცხებს გადააცილებს საჭირო დროს და დაუბოლოებლად აზის და აზის აყროლებულ საგანს გულ-მხურვალედ, სანამ მადლიანი ვინმე საბუდრიდან არ გადმოსვამს ძალით და თავზე ცივწყალს არ გადაავლებს, რომ მით გადააკრუხოს.—სამწუხაროდ ჩვენდა, დღეს ჩვენშიაც ბევრი არიან გადიები, რომელთაც ანჩისხატი იერუსალიმი ჰგონიათ, ლაზარე პეტრე მოციქულათ მიაჩნიათ და უთავ-ბოლოდ ჰრეკენ ზარებს.—გულთა მხილავო შენ უწყი, რომ მე ისინი მიყვარს და პატივსა ვსცემ ისე, როგორც გადია ჩემს, მაქვს სურვილი მივუძღვნა რამე, მაგრამ რა გამაჩნია ღარიბ-მგოსანს ლექსების მეტი და მეც აჰა მიმირთმევია, მათდავე საგულისხმოთ:

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,
მიაძახა: «გზა მომეცო!
ვერ მიცანი განა ვინც ვარ?
როგორ გამეთამამეო?

თუ არ ატყობ თავს ვინცა ხარ,
გამიგონე, რომ გითხრაო:
შენ რომ ფრთები გამოგბმია,
ღმერთიც მაშინ გაგიწყრაო.

—

ბზუილასა, ტყუილასა,
შხამიანსა, მკბენარსაო,
ვინ არ გიცნობს უსაქმურად
მფრინავს, მოუსვენარსაო.

—

მე კი დარბაისლად მცნობენ
შრომისა ვარ მოყვარეო...
ჩემთვისა ვარ, არავის ვკბენ,
არ ვარ შენი მოგვარეო.

—

ქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ,
შენ სულ სხვა ხარ ხომ ხედავო?
ჩამოდექი, გზა მომეცი,
ურჩობას ნუ მიბედავო!»

—

ფუტკარმა ეს უპასუხა:
«ნუ მაცინებ!... ხა-ხა-ხაო?
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა,
ნეხვის ქიათ დაგსახაო.

—

ბევრს რომ შრომობ, ნუ თუ ჰფიქრობ,
რომ მთა და ბარს ასწორებო?
მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ,
იქვე, ახლოს, აგორებო.

—

ის ხომ შენი საზრდო არის?
შენს მეტს არვის არგიაო!
შენ იკეთებ... შენვე ზიდავ,
საკუთარი ბარგიაო.

დარბაისლათ იმუშავებ,
რაღათ ირბენ აბა შორსო?
ყოველ ფეხის გადადგმაზე
ნახავ, გინდა, მთელ გოდორსო.

—

მე-კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მეძახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო!

—

მისთვის დავჰფრენ მოუსვენრად,
რომ მოვსძებნო ყვავილიო,
გულის წვენი ამოვსწოვნო,
სამკურნალო რამ ტკბილიო.

—

შევუმზადო მით ქვეყანას
თაფლი,—ზეცას სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწიროს
და ანათლოს აქ ბნელიო.

—

ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის
ქვეყნის მტერიც ის არიო
და მისთვის მაქვს მომართული
გესლიანი ისარიო.»

—

ეს უთხრა და ფრთა გაშალა,
მიაშურა ყვავილებსა!
და ჩვენც ამ გვარ პასუხს ვჰკადრებთ
ზოგიერთ ჩვენ ყმაწვილებსა.

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიდეს და დაუმოკიდებელი სამეფო შეიქმნესო.

ირლანდია ირლანდიაში კი არა ამერიკაშიაო, ამბობს ერთი რუსული გაზეთი. მართლაც ნახევარი ირლანდიელობა ამერიკაში გადასახლდა. 1841 წ. ირლანდიაში 8,200,000 სული იყო, ათის წლის შემდეგ 6½ მილიონიღა დარჩა, 1861 წ. მხოლოდ 5½ მილიონიღა იყო და დარჩა ეს რიცხვიო. ამერიკაში დღეს უფრო მეტნი არიან ირლანდიელები, ვიდრე თავიანთ სამშობლოშიო.

აი ამ ამერიკაში გადასახლებულ ირლანდიელთაგან მიდის ყოველს წელს მარტო თავიანთის ნათესავების შესაწევრად 80 მილიონი მანათი, მხოლოდ სამშობლოთაო.

* * *

გერმანია. ბისმარკი ვისსთან აღარ იშლის და უფრო და უფრო მძვინვარედ სდევნის პოლიაკებს გერმანიიდამ. 16 იანვარს აღელვებულის ხმით დაუწყვია ლაპარაკი ბისმარკს და სხვათა-შორის უთქვამს, რომ მე არავითარს, მნიშვნელობას არ ვაძლევ იმ დაპირებასა, რომელიც მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმს III მისცა პოლიაკებსაო. ჩემის აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მმართებლობას ძალით შეესყიდნა სულ რაც პოლიაკების მამულები არისო, თუნდაც რომ ამისათვის რამდენიმე ასი მილიონი იყოს საჭიროვო. მემამულე პოლიაკებს შეუძლიანთ გალიციაში გადასახლდნენ, იქ უფრო კარგად იქნებიან, ვიდრე პრუსიაშიო. სხვამ კი ჩვენ უნდა სრულიად გავანემენცოთ სანემენცო პოლშელების ქვეყანაო. ამისათვის საჭიროა შემდეგი ღონის-ძიება: უნდა პოლიაკების მაგივრად დავასახლოთ იქ ცოლ-შვილიანი ნემენცები, პოლშელთ მოხელეების და სამხედრო კაცების მაგივრად ნემენცები ჩავაყენოთო, ხოლო პოლიაკები რეინისკენ გადავიყვანოთო და ამას გარდა კიდევ აუკრძალოთ იმ ნემცებს, რომელნიც აღმოსავლეთისკენ სცხოვრობენ, რომ პოლშელების ქალები ცოლად არ შეირთონო.

ფინდგორტს უთქვამს პასუხად კანცლერისათვის, რომ ძალით შესყიდვა მმართებლობის მიერ იმათის მამულებისა, ვინც მას არ მოსწონსო, ვერაფერი სახმარი იარაღია სახელმწიფოშიო. ამიტომ რომ ეგ იარაღი ორ-პირ მახვილსა ჰგავსო. რაღა რომ ბებელის (ბებელი უმწვერვალესის დასის მოთავეა) სამინისტროს ჩაჰბარდეს მმართებლობის საქმეებიო, მაშინვე თვით თავადის ბისმარკის მამულების გარცვნისა და შენჭაუზენს შეასყიდვინებდა მმართებლობის ძალითაო.

* * *

გვიან მოსული დეპეშა

25 იანვარი

პეტერბურგი. ხაზინაში დაარსდა სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

ბელგრადი. მეჯიდ-ფაშის მიზეზის გამო მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ერთის კვირის უკან დაიწყობა.

ის ხმა, რომ ვითომ საბერძნეთი და სერბია ერთმანეთში კავშირს ჰკვრენო და ვითომ სერბიის სამინისტრო უნდა გადადგესო, ტყუილი გამოდგა.

რადგან ოსმალო და ბოლგარია მორიგდნენ, ამის გამო სერბიასა და ოსმალოს შორის დიდი დეპეშების გზავნააო. ამბობენ, ვითომ სერბია აპირობს თავის ჯარს თავი მოუყაროს ვრანიასთან ოსმალეთის საზღვარს ახლოო.

სერბიის მმართებლობამ საცნობლად მიიღო ერთობილი ნოტა სახელმწიფოთაო, მაგრამ სთქვა, რომ მის განხილვაში სერბია ვეღარ შევა, რადგან სახელმწიფოთა რაც გადაუწყვეტიათ, დაბეჯითებითა და საბოლოოდ გადაუწყვეტიათო.

სტამბოლი. პორტას გაუგზავნია სახელმწიფოებისათვის ოსმალო-ბოლგარიის მორიგების ქაღალდი, სთხოვს ნუ დაიწუნებთ ამასაო და ამბობს, რომ, რაც დაუთმე რუმელიოტებს, ეს არის, მეტის დათმობა აღარ შემიძლიანო. ცანკოვი აქ დარჩება ჯერ, ვიდრე სახელმწიფონი ამ მორიგების ქაღალდს დაამტკიცებენო.

ლონდონი. გრაფი ებერდინი დანიშნულ იქმნა ირლანდიის ვიცე-კოროლად.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ — 478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

25 დღე **შაბათი**. წმ. გიორგი ღვთისმეტყველისა; სომხ. წმ. აიანასი, კირილე მამა-მთავრისა. კათოლ. პავლესი, ანანასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14—19. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე ამოდის 8—16; ჩადის 7—30 ნ.-ღ.

26 დღე **კვირა**. ღირსი ქსენოფონტი; დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართლისა 1089—1155. კაათოლ. პოლიკარპ. ეპისკ. და პავლინისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—14—23. ტფილისში მზე ამოდის 7—7; ჩადის 5—23. მთვარე ამოდის 8—47; ჩადის 8—27 ნ.ღ.

27 დღე **ორშაბათი**. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მამისა იოანე ოქროპირისა; სომ. ევგენ, მაკარ და სხვ. კათოლიკ. იოანე ოქროპ. და დაციასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—25. ტფილისში მზე ამოდის 7—6; ჩადის 5—24. მთვარე ამოდის 9—19; ჩაჩადის 9—27 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხისა.	2¼ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3½ »
მე-3 —	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	7 »
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	5 »
2-ის ხარისხ.	4 »

* * *

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა „სახელმძღვანელო რუსულის ენისა **Начальный Курсъ русскаго языка для грузинъ)**, შედგენილი ვერ. კალანდარიშვილისა, მერვე გამოცემით, რომელიც სრულიად გადაკეთებულია იაკობ გოგებაშვილის მიერ. ეს ახალი გამოცემა იპყრობს; ლექსიურს განყოფილებას, პირველად შეტანილს წიგნში, ხელ-ახლად შედგენილს რუსულს ანბანს ბეჭდურს და ხელ-ნაწერსა;— განყოფილება სიტყვათა და ფრაზათა შემოკლებულია და მოშორებული გრამმატიკულუს განმარტებათა, ქრისტომატიაც გარდაკეთებულია და შეიცავს ახალს: მოთხრობებსა, ლექსებსა, აღწერათა (სურათებიანსა) და თავდება რავდენიმე სურათებიანი მოთხრობით საღმრთო ისტორიიდგან. უწინდებურად გამოცემას ბოლოში აქვს ჩამატებული რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც იპყრობს სამი ათასამდის სიტყვასა. ფასიც დაკლებულია და წიგნი ღირს ცხრა შაურად. ვინც ერთბაშად იყიდის ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ოცის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად; ვინც წაიღებს არა ნაკლებ ორმოცდა ათის ცალისა, წიგნი მიეცემა 36 კაპეიკად. გამოცემა აწყვია გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან (**Кавказская книжная торговля**).

8—3

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია"

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 25 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.